განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სადოქტორო პროგრამა

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 22 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11 ივნისი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის დოქტორი Doctor of Law (06)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დგებუაძე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე კს „კორძაძის საადვოკატო ბიურო“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო კილასონია შპს - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა თოხაძე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, წელიწადში საშუალოდ – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 3 წელს ანუ 6 სემესტრს შეადგენს. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია სასწავლო კომპონენტი (60 ECTS) და კვლევითი (120 ECTS) კომპონენტი. სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ელემენტებისგან. სავალდებულო სასწავლო კომპონენტის ელემენტებია აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის, სამართლებრივი კვლევის მეთოდები, სწავლების თანამედროვე მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა და 2 თემატური სემინარის მომზადება და დაცვა აუდიტორიის წინაშე, ხოლო არჩევითი სასწავლო კომპონენტების ელემენტებია მეცნიერების მენეჯმენტი და განათლების მენეჯმენტი. სავალდებულო კვლევითი კომპონენტის ელემენტებია კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი, 3 კვლევითი ნაშრომის კოლოკვიუმი, სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სამართლის სადოქტორო პროგრამას 2014 წლიდან ახორციელებს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N150; 09.07.2014).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2019 წლის 22 მაისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩაიარა საქმიან, მშვიდ და თავისუფალ გარემოში, წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. დათვალიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - ბიბლიოთეკა, ელექტრონული პორტალი და სამეცნიერო/აკადემიური ბაზები. უნივერსიტეტის პერსონალი მთელი დღის განმავლობაში მზად იყო თანამშრომლობისა და შესაბამის კითხვებზე პასუხის გაცემისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტთან

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამას აქვს სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც კონტექსტუალურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის რესურსებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის კვლევითი და სასწავლო კომპონენტების შინაარსი და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტთან

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში განსაზღვრულია სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დამაკმაყოფილებელია, სპეციფიკა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამით განსაზღვრულია სტუდენტების მიღების პოლიტიკა. პროგრამის შინაარსი პროპორციულია დოქტორანტურის სწავლების საფეხურთან და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. იგი ერთმანეთისგან მიჯნავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. პროგრამის მიზნების მიღწევა ხდება შესაბამისი მეთოდებით, სილაბუსებით განსაზღვრულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი, ხელმისაწვდომი რესურსებით, გამოყოფილი დროითა და სტუდენტთა რაოდენობით შესაძლებელია დასახული მიზნების მიღწევა. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტთან

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი სასწავლო პროცესის განმავლობაში აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალისაგან იღებს სათანადო და დროულ კონსულტაციას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სამეცნიერო პოტენციალის პროგრესის მიზნით. სტუდენეტებს ჰყავთ შესაბამისი კვალიფიკავიის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელი, საჭიროებისამებრ, თანახელმძღვანელი.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტთან

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვნენ დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სადოქტორო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას, ცდილობს წაახალისოს მათი პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები, კონფერენციებში მონაწილეობა, ცნობიერების ამაღლება. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს, შესაძლებელია უცხოენოვანი იურიდიული ელექტრონული ბაზებით სარგებლობა. სადოქტორო პროგრამა ფინანსურად გამართულია.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტთან

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის განხორციელებას. პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომელიც იყენებს შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, პროგრამის მიზნების შესაბამისად, სასურველია: უნივერსიტეტმა გამოავლინოს ინტერნაციონალიზაციის პროცესში, საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო პროექტებში სტუდენტების ნაკლებად ჩართულობის მიზეზი და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ მიმართულებით მათი მონაწილეობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული; პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უფრო მეტად მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს, კერძოდ, საჯარო, კერძო და სისხლის

სამართლის მიმართულებით საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობას (საჯარო ლექციები, ტრენინგები, სეზონური სკოლები, კონფერენციები და სხვ.); სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა უფრო ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა, ამ მხრივ, სასურველია, შეიქმნას უფრო მეტად მოქნილი ე.წ. კვლევითი სემესტრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს მხოლოდ კვლევითი საქმიანობით. ამ პროცესში, სასურველია, აგრეთვე, მონაწილეობდნენ სტუდენტებიც; პროგრამის სასწავლო კურსები უფრო მეტად უზრუნველყოფდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესს; პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზების ელემენტებს ვიწრო სპეციალიზაციით; სტატიების საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების ვალდებულება დარჩეს უცვლელი ან ჩაანაცვლოს სხვა ინტერნაციონალიზაციის ელემენტმა; დაცულ სადოქტორო ნაშრომების რაოდენობის, კურსდამთავრებულების ზრდასთან ერთად (ვინაიდან, ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთი კურსდამთავრებულია) მეტი სიხშირით, მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, გაგრძელდეს პროგრამის შედეგების შეფასება, პროგრამის მონიტორინგი, პერიოდული შეფასება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სამართლის სადოქტორო პროგრამას 2014 წლიდან ახორციელებს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N150; 09.07.2014). უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამა გადაამუშავა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით განსაზღვრულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით. 5 ECTS კრედიტიანი სასწავლო კურსი აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები გაიყო ორ სასწავლო კურსად: აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის – 5 ECTS კრედიტი და სამართლებრივი კვლევის მეთოდები – 10 ECTS კრედიტი. სასწავლო კომპონენტის არჩევით ელემენტებს დაემატა სასწავლო კურსი მეცნიერების მენეჯმენტი. შეიცვალა კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, კერძოდ, კვლევით კომპონენტის სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია, ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით. უნივერსიტეტი მუშაობს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. გაიზარდა

აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამას აქვს სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც კონტექსტუალურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. უნივერსიტეტის მისიაა შექმნას სათანადო სასწავლო-სამეცნიერო გარემო შესაბამისი მეთოდების დანერგვით, კონკურენტუნარიანი თაობის აღზრდის უზრუნველსაყოფად. სადოქტორო პროგრამის ძირითადი მიზნებია: მოამზადოს შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე ღირებულებებზე ორიენტირებული ერთგული მკვლევარები, რომლებსაც შეეძლებათ სამართლის სფეროს აქტუალური საკითხების კვლევა და მეცნიერული ანალიზი; დოქტორანტს გამოუმუშავოს სამეცნიერო კვლევის აკადემიურად სტრუქტურირების, ლოგიკური მსჯელობის, არგუმენტირების, სამეცნიერო კვლევის შედეგების განზოგადების, პრობლემათა იდენტიფიცირებისა და ანალიზის და ამ პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი; ახალი ცოდნა გადასცეს აუდიტორიას, გააკეთოს პრაქტიკული ღირებულების მქონე ორიგინალური დასკვნები და პასუხისმგებლობით მოეკიდოს მათ ტრანსფორმაცია - გავრცელებას; მოამზადოს სამართლის დოქტორი, რომელსაც შესწევს უნარი აქტიურად ჩაერთოს სწავლა-სწავლების პროცესში, სწავლების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით ახალი ცოდნა გადასცეს როგორც საუნივერსიტეტო აუდიტორიას, ისე სხვა დაინტერესებულ პირებს. პროგრამის მიზნები მიღწევადია, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და რესურსებს. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სადოქტორო პროგრამით, თვითშეფასების ანგარიშითა და, მათ შორის, ინტერვიუს შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის დებულება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამა;
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- კარიერული განვითარების სამსახურის დებულება;
- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დებულება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება;
- სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის დებულება;
- უწყვეტი განათლების სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სილაბუსები;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის მიხედვით, სტუდენტი მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს: მიღებული თეორიული ცოდნის ფართოდ და კომპლექსურად გააზრებასა და გამოყენებას; მიღებული ცოდნის გაფართოებას ინოვაციური მეთოდების გამოსაყენებლად - რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე; სამართლის კონკრეტული დარგის კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების კვლევას; მკვლევარისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას; საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების კვლევასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას, ეფექტიანი კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვას. ამრიგად, კურსდამთავრებული არამარტო იღებს შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, მეცნიერული კვლევის წარმოების თვალსაზრისით, სათანადო ცოდნას, არამედ შეუძლია ინოვაციური კვლევების დაგეგმვა და განხორციელება, საუნივერსიტეტო იურიდიულ განათლებაში საკუთარი წვლილის შეტანა. სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის უნარები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება კონკრეტული კვლევითი და სასწავლო კურსები. სწავლის შედეგები მიიღწევა: (1) სავალდებულო სასწავლო კომპონენტებით, რაც მოიცავს აკადემიურ წერას, სამართლებრივი კვლევის მეთოდებს, სწავლების თანამედროვე მეთოდებს, პროფესორის ასისტენტობას და ორი თემატური სემინარის მომზადებას; (2) არჩევითი კომპონენტებით, რაც მოიცავს განათლების მენეჯმენტსა და მეცნიერების მენეჯმენტს; და (3) კვლევითი კომპონენტით, რაც მოიცავს კვლევითი ნაშრომის დაგეგმვასა და დიზაინს, 3 კვლევითი ნაშრომის კოლოკვიუმსა და სადისერტაციო ნაშრომის დასრულებასა და დაცვას.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლებიც წარმოდგენილია სადოქტორო პროგრამასა და მისი სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევში. პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია,

კურიკულუმები გაანალიზებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შეფასებულია და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამაში გათვალისწინებულია ბაზრის კვლევის შედეგები და დოქტორანტების, კურსდამთავრებულის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და დამსაქმებლების ხედვა. სწავლის შედეგების მიღწევადობას უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათი დამოუკიდებლობა. აღსანიშნავია უნივერსიტეტის მზაობა სწავლის შედეგების მისაღწევად სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიების ორგანიზების, დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით, სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. მათ შორის, სადოქტორო პროგრამაში მონაწილე პერსონალის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, უნივერსიტეტის განსაზღვრული სწავლის შედეგები მიღწევადია და შეესაბამება საბოლოოდ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის პროგრამას, რომლის შედეგებსაც შინაარსობრივად აანალიზებს აკადემიური წერის სტანდარტების შესაბამისად. სწავლის შედეგების გასაზომად და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გასაანალიზებლად, ვიზიტისას შემოწმდა ერთი სადოქტორო ნაშრომი და დასაცავად წარდგენილი დასრულებული სადოქტორო ნაშრომი, საიდანაც გამოიკვეთა მათი პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან შესაბამისობა. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები პროგრამის სწავლის შედეგებზე იღებენ უკუკავშირს. მისასალმებელია, უნივერსიტეტი სწავლის შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის დებულება; • თვითშეფასების ანგარიში; • სადოქტორო პროგრამა; • ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; • კარიერული განვითარების სამსახურის დებულება; • საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დებულება; • საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება; • სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის დებულება; • სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; • უწყვეტი განათლების სამსახურის დებულება; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტი; • სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სილაბუსები;

- სამართლის სადოქტორო პროგრამის გარე ექსპერტის 2018 წლის 16 ივლისის შეფასება;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, დაცულ სადოქტორო ნაშრომების რაოდენობასთან ერთად (ვინაიდან, ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთი კურსდამთავრებულია) მეტი სიხშირით გაგრძელდეს, მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, პროგრამის შედეგების შეფასება და მათი გამოყენება. სასურველია, უნივერსიტეტმა გამოავლინოს ინტერნაციონალიზაციის პროცესში, საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო პროექტებში სტუდენტების ნაკლებად ჩართულობის მიზეზი და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ მიმართულებით მათი მონაწილეობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დამაკმაყოფილებელია - გამჭვირვალეა და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს განსაზღვრულ ეტაპებს: პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით

დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება გამოცდა/გასაუბრების შედეგების საფუძველზე. გასაუბრების დროს კონკურსანტი ვალდებულია მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება სათანადო კვალიფიკაციის მქონე კანდიდატს. გამოცდა/გასაუბრების საკითხები და კონკურსანტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, გამოცდის/გასაუბრების ჩატარებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ამასთან, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი ვალდებულია ტესტირება გაიაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა. აგრეთვე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროგრამაზე წელიწადში ორჯერ შესაძლებელია მობილობის წესით ჩარიცხვა. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. მისასალმებელია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (დამოუკიდებლად შერჩეული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფორმა, შინაარსი და პროცედურა) და დაკავშირებული საკითხები ხელმისაწვდომი და განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და დაკავშირებული საკითხების ხელმისაწვდომობას ადასტურებს ინტერვიუს შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა; • პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; • ვებგვერდი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგება: მოსამზადებელი ეტაპი; პროგრამასთან დაკავშირებული შიდა და გარე მონაცემების ანალიზი; პროგრამის განვითარების გეგმის შედგენა, პროგრამის განხორციელების პროცესში კომუნიკაციის სტრატეგია და პერიოდულობა დაინტერესებულ მხარეებთან; განხორციელების პროცესის შეფასება. მოსამზადებელ ეტაპზე ხდება დასაქმების ბაზრის კვლევა,

დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა, დაგეგმვის პროცესის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ინფორმაციის და რესურსების მობილიზება და სამუშაო ჯგუფის ფორმირება. პროგრამასთან დაკავშირებული შიდა და გარე მონაცემების ანალიზი გულისხმობს სამუშაო ჯგუფის მიერ, პროგრამასთან დაკავშირებული მონაცემების შეფასებას, რომლის მეშვეობით დგინდება პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები. პროგრამის განვითარების გეგმის შედგენა, პროგრამის განხორციელების პროცესში კომუნიკაციის სტრატეგია და პერიოდულობა დაინტერესებულ მხარეებთან გულისხმობს პროგრამის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შექმნას, სადაც განსაზღვრულია დაგეგმილი აქტივობების პერიოდულობა. სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროგრამის ანალიზს, რომლის შემდეგაც განისაზღვრება მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში განსახორციელებელი პრიორიტეტული სტრატეგიები, როგორებიცაა ინფორმაციის გაზიარების სტრატეგია დაინტერესებული მხარეებისთვის და ერთობლივი გეგმის შემუშავება. განხორციელების პროცესის შეფასების ეტაპის მიზანია შეაფასოს რამდენად შეესაბამება პროგრამის განხორციელების პროცესის პერიოდული შედეგები პროგრამის მიზნებსა და სტრატეგიებს. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებაში თანაბრად და უფლებამოსილების შესაბამისად ჩართული იყვნენ ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დოქტორანტები, კურსდამთავრებული და დამსაქმებლები. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შეთავაზებული სავალდებულო თუ არჩევითი სასწავლო კურსები ხელს უწყობს სტუდენტის ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროგრამის შინაარსი ისეა აგებული, რომ ითვალისწინებს პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა კომპეტენციებს და უზრუნველყოფს პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების შესაბამისი და სათანადო კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია მარტივიდან რთულ საკითხებზე გადასვლის პრინციპის დაცვით. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები დამაკმაყოფილებელია.

სადოქტორო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი და ეძლევა შესაბამისი დიპლომი დანართთან ერთად. კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 180 ECTS კრედიტის დაგროვება, წელიწადში საშუალოდ 60 ECTS კრედიტის, სემესტრში 30 ECTS კრედიტის. შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის სტანდარტული

ხანგრძლიოვობა 3 წელს ანუ 6 სემესტრს შეადგენს. კრედიტი დროის ერთეულში ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს სტუდენტის საკონტაქტო (ლექცია და სხვა) და დამოუკიდებელ/ინდივიდუალურ (შუალედური და საბოლოო შეფასებისთვის, საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის მზადება) მუშაობას. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით ან დოქტორანტურის დებულებით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და შედგება სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი კომპონენტებისგან (120 ECTS). საქართველოს ან უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების გადანაწილების სისტემა. სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი 60 ECTS კრედიტს მოიცავს, რომელიც შედგება სავალდებულო (55 ECTS) და არჩევითი (5 ECTS) ელემენტებისგან. სავალდებულო ელემენტებია: აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის (5 ECTS); სამართლებრივი კვლევის მეთოდები (5 ECTS); სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 ECTS); პროფესორის ასისტენტობა (10 ECTS); პირველი თემატური სემინარის მომზადება და აუდიტორიის წინაშე დაცვა (10 ECTS); მეორე თემატური სემინარის მომზადება და აუდიტორიის წინაშე დაცვა (15 ECTS). სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებია: განათლების მენეჯმენტი – 5 ECTS კრედიტი და მეცნიერების მენეჯმენტი - 5 ECTS კრედიტი. სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (სასწავლო კურსები) საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა საკუთარი სურვილის შესაბამისად სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში. პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 120 ECTS კრედიტს. კვლევითი კომპონენტის ელემენტებია: კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი, პირველი, მეორე და მესამე კოლოკვიუმები, დისერტაციის დასრულება და დაცვა (120 ECTS). მათ შორის, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს,

შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია, ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 5 იანვრის N3 ბრძანებით განსაზღვრული 51-დან 100 ქულის ჩათვლით, ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად. მას, ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით მიენიჭება კვლევითი კომპონენტისთვის განკუთვნილი 120 ECTS კრედიტი და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც აღწერილია, რომელი კურსი ან/და პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის. სწავლის შედეგების რუკაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსით სწავლის შედეგები დაფარულია. პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი, საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. საერთო ჯამში, პროგრამის შინაარსი პროპორციულია დოქტორანტურის სწავლების საფეხურთან და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; • ვებგვერდი; • სილაბუსები; • სწავლის შედეგების რუკა; • პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უფრო მეტად მოიცავდეს

ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს, კერძოდ, საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობას (საჯარო ლექციები, ტრენინგები, სეზონური სკოლები, კონფერენციები და სხვ.). სასურველია, უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უფრო მეტად მოარგოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რომ უფრო მეტად უზრუნველყოს საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო პროექტებში სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, სწავლის შედეგები აკმაყოფილებს დოქტორანტურის საფეხურისთვის განკუთვნილ სტანდარტებს, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე, ამავე კურსის სწავლის შედეგებს. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სასწავლო კურსები დოქტორანტებისათვის, როგორებიცაა აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის და სამართლებრივი კვლევის მეთოდები აუცილებელია დოქტორანტის შემდგომი, კვლევითი საფეხურისათვის მოსამზადებლად. მათ შორის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან ინტერვიუდან გამოიკვეთა სასწავლო კომპონენტის საჭიროება სადოქტორო ნაშრომის წარმატებით შესრულებაში. კერძოდ, სასწავლო კომპონენტი სტუდენტს ეხმარება კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და საჭირო უნარების დაუფლებაში. პროფესორებმა და დოქტორანტებმაც მიუთითეს, რომ განსხვავებით მაგისტრატურის საფეხურზე გავლილი აკადემიური წერისაგან, დოქტორანტურის საფეხურზე შეთავაზებული ეს კურსი ეხება უშუალოდ სამართლის დარგში არსებულ კვლევის მეთოდებს და სამართლებრივი წერის თავისებურებებს, რასაც დოქტორანტი უნდა ფლობდეს საბოლოო კვლევითი კომპონენტის - სადისერტაციო ნაშრომის შესასრულებლად.

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო სჭირდება საშუალო მოსწრების სტუდენტს კონკრეტული დისციპლინის შესწავლისთვის. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მასალას წარმოადგენს სათანადო სახელმძღვანელოები და უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სასწავლო მასალები წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული წყარო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- ვებგვერდი;

- სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსები უფრო მეტად უზრუნველყოფდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესს (მაგალითად, სასწავლო კურსი უფრო მეტად ითავლისწინებდეს უცხო ენაზე შესასრულებელ კომპონენტებს), რაც უფრო გააძლიერებს სტუდენტთა საერთაშორისო/ადგილობრივ პროექტებში სტუდენტების ჩართულობას.
სასურველია, სტუდენტმა მაქსიმალურად გამოიყენოს უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, რასაც, მათ შორის, უფრო მეტად უნდა უწყობდეს ხელს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი.
სასურველია, მემორანდუმების ფორმატის უფრო ეფექტიანად გამოყენება საკვლევი თემების (მათ შორის, თემატური სემინარების) შერჩევის პროცესში. განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს დამსაქმებლებთან ხშირი კომუნიკაცია, უნივერსიტეტმა რომ იცოდეს ვიწრო სპეციალიზაციის მოთხოვნა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამით, თვითშეფასების ანგარიშით და, მათ შორის, ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სამეცნიერო-კვლევითი/პრაქტიკული უნარების განვითარების კომპონენტი პროგრამაში წარმოდგენილია დამოუკიდებელი სასწავლო კურსების სახით და შეთავაზებულია პროგრამის დასკვნით ეტაპზე - დამამათავრებელ სემესტრებში. იგი, ძირითადად, აქტიურ პრაქტიკას და კვლევას გულისხმობს. სტუდენტის მიერ კვლევითი აქტივობების დამოუკიდებლად განხორციელებას ხელმძღვანელი მეთვალყურეობს, რომლის მიზანია თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის, უნარების, გამოცდილების შეჯამება და მათი განხორციელება. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დოქტორანტების ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ დოქტორანტების აქტიურ ჩართულობას პრაქტიკულ კომპონენტში. ისინი ხელმძღვანელობენ და წარმართავენ დოქტორანტის საქმიანობას პრაქტიკის ადგილზე. მაგალითად, პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დოქტორანტები მუშაობენ ვალაუვალობის სამართლის პრაქტიკულ საკითხებზე, სააღსრულებო წარმოების, ასევე სამოქალაქო ამხანაგობის პრობლემურ საკითხებზე, რაც დოქტორანტებს პრაქტიკული ასპექტების გაანალიზებასა და კვლევაში ეხმარებათ. მისასალმებელია, დოქტორანტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის პოლიტიკა. სასწავლო პროგრამით, თვითშეფასების ანგარიშით, მათ შორის, ინტერვიუს შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა რომ დოქტორანტი თავად გეგმავს და ახორციელებს კვლევით აქტივოებებს ხელმძღვანელთან შეთანხმებით და მისი მეთვალყურეობით, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე დისერტაციის დაცვით დადასტურდება. პროგრამის კვლევითი კურსია კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი, რომელიც წარმოადგენს მიმოხილვითი კვლევის და ანალიზის შედეგს, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელიც დოქტორანტმა უნდა დაასრულოს სწავლის დაწყებიდან ერთი სემესტრის განმავლობაში. მისი მიზანია კვლევის ადრეულ ეტაპზე დაეხმაროს

დოქტორანტს კვლევის წარმართვაში, პირველადი ან/და მეორადი წყაროების ანალიზში, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში, სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის დაზუსტებაში (თემის უფრო მეტად დაკონკრეტება ან გაფართოება), კვლევების დაგეგმვაში ან/და მიღწეული შედეგების მიხედვით სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში. კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის შესავალში მოცემული წინასწარი შეფასებების (აქტუალობა, მიზნები, წინასწარი თეზისი და კვლევის მეთოდები) მომზადებას და საბოლოო სახით ჩამოყალიბებას. კვლევის ფარგლებში დოქტორანტს ევალება სამი კოლოკვიუმის მომზადება. კოლოკვიუმი ითვალისწინებს სადისერტაციო თემის/მისი ცალკეული ნაწილის გარშემო დოქტორანტის მიერ სათანადო მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას. კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია და გაწეული მუშაობის წარმოდგენა/პრეზენტაცია. კოლოკვიუმზე დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, გაანალიზოს მომზადებული ან რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები. სადისერტაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. სადისერტაციო ნაშრომი ასახავს მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს ან/და წყვეტს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, მისი წინასწარი შეფასების, საჯარო დაცვისა და საბოლოო შეფასების პროცედურები დადგენილია „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის სხდომის N32 ოქმით დამტკიცებული დებულებით, რომლის ხილვა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს, დადგინდა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიმართულებით: შეიქმნა სამეცნიერო კლევების დეპარტამენტი; სამეცნიერო კვლევითი გრანტის მოპოვების შემთხვევაში, უნივერსიტეტი არის პროექტის თანადამფინანსებელი; ინდექსირებულ ჟურნალებში ნაშრომის გამოქვეყნების შემთხვევაში, უნივერსიტეეტი უზრუნველყოფს ავტორის ფინანსურ მხარდაჭერას; გაიზარდა მეცნიერების განვითარების და საგრანტო პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების დაფინანსება. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი ადგენს ფინანსური მხარდაჭერის გარკვეულ პირობებს. კერძოდ, სტატია უნდა გამოქვეყნდეს ცნობილ ბაზაში; კვლევით გრანტში უცხოელი სპეციალისტები უნდა იყვნენ ჩართული (დიდი გრანტის შემთხვევაში სამივე საფეხურის სტუდენტი); პროექტი უნდა ითვალისწინებდეს

ახალგაზრდა მეცნიერების გადამზადებას სეზონური სკოლის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თუ სხვა სამეცნიერო აქტივობის ფარგლებში. რექტორმა აღნიშნა, რომ, საჭიროებისამებრ, უნივერსიტეტი ფინანსურად უზრუნველყოფს დოქტორანტის ექვსთვიან სამეცნიერო მივლინებას საზღვარგარეთ დისერტაციის დასრულების მიზნით. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულმა ისარგებლა ამ შესაძლებლობით. უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო საგრანტო პროექტი „თამარი“, რომელიც მხარს უჭერს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. მისასალმებელია, სამეცნიერო კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებასთან დაკავშირებით საჭირო რესურსების მოზიდვის, კვლევითი პროექტის მომზადების, განხორციელებისა და სხვა საჭირო უნარების გაუმჯობესების მიზნით, სამართლის სადოქტორო პროგრამაში ისწავლება მეცნიერების მენეჯმენტი. უნივერსიტეტი აღნიშნული სასწავლო კურსთან ერთად, ითვალისწინებს ამ მიმართულებით სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობას (ტრენინგები და სხვ.). მისასალმებელია, რომ იგეგმება ამ მიმართულებით უცხოელი მეცნიერების მოწვევა.

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს აქვთ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კონკრეტული ხედვა. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარეობს აფილირებული პროფესორების საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის დაფინანსება, უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანა. პროგრამის ხელმძღვანელმა და თანახელმძღვანელმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ინტერნაციონალიზაციის კუთხით, უნივერსიტეტის მიერ იგეგმება ორმაგი ხარისხის სამართლის სადოქტორო პროგრამების შემუშავება პარტნიორ უნივერსიტეტებთან. თვითშეფასების ანგარიშით, მათ შორის, ინტერვიუს შედეგების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე გრანტებით დაფინანსებულია 12 კვლევითი პროექტი. მისასალმებელია, რომ პროექტის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა კვლევაში უცხოელი მეცნიერის ჩართულობა, პუბლიკაციების გამოქვეყნება ინდექსირებულ ჟურნალებში და სტუდენტების მონაწილეობა. სამართლის მიმართულებით დაფინანსდა ერთ-ერთი პროფესორის პროექტი საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის შესახებ. პროექტის ფარგლებში გამოსაქვეყნებელი პუბლიკაცია მზადაა დასაბეჭდად.

თვითშეფასების ანგარიშით, მათ შორის, ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, ახალგაზრდა თაობის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობით დაინტერესების მიზნით, მიმდინარეობს მათზე ფოკუსირებული საგრანტო პროგრამების შემუშავება და განვითარება. უნივერსიტეტში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები, რომელთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდა მკვლევრების და მეცნიერების წახალისება, ბაკალავრიატის საფეხურიდანვე სტუდენტების ჩართვა კვლევებში, მათი დაინტერესება აკადემიური კარიერით და სხვა. სტუდენტთა ჩართვა კონფერენციებში, ჯგუფური პროექტების დამუშავებაში და კვლევის შედეგების პრეზენტაციაში ხელს უწყობენ მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას.

უნივერსიტეტმა ჩაატარა ტრენინგები სამეცნიერო კვლევის საპროექტო განაცხადის მომზადების და წარდგენის შესახებ, რომელიც დაგეგმილია მომდევნო წლებშიც და ასახულია უნივერსიტეტის კვლევების განვითარების სამოქმედო გეგმაში. თვითშეფასების, მათ შორის, ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ ყოველ წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია იმართება. აღნიშნულ კონფერენციებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტები. მისასალმებელია, უნივერსიტეტის პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული სამომავლო გეგმა, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მეცნიერებისა და მკვლევრების მონაწილეობით. მისასალმებელია, მათ შორის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ, ახლო პერიოდში, უნივერსიტეტში იგეგმება იურიდიული კლინიკის გახსნა, რომელშიც ჩაერთვებიან სადოქტორო პროგრამის სტუდენტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში; • სტუდენტების გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების თეზისები; • აკადემიური პერსონალის რანგირების წესი; • სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა უფრო ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა, ამ მხრივ, სასურველია, შეიქმნას უფრო მეტად მოქნილი ე.წ. კვლევითი სემესტრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს მხოლოდ კვლევითი საქმიანობით. ამ პროცესში, სასურველია, აგრეთვე, მონაწილეობდნენ სტუდენტებიც. ეს ფორმა სადოქტორო პროგრამას უფრო მეტად ეფექტიანს გახდის, განსაკუთრებით, ნაშრომების მომზადების ნაწილში. პერსონალი (მათ შორის, სტუდენტებთან ერთად) სრულად იქნება კონცენტრირებული ახალი

მიმართულებების კვლევაზე. სასურველია, სადოქტორო პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზების ელემენტებს ვიწრო სპეციალიზაციით. სასურველია, გაფორმებული მემორანდუმების ეფექტიანობისთვის, უნივერსიტეტმა დამსაქმებლებთან უფრო მეტად იმუშავოს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მიმართულების ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით (სადოქტორო ნაშრომს მაქსიმალურად ჰქონდეს პრაქტიკული რეალიზაცია).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის

სასწავლო კურსების მეთოდები შეესაბამება სადოქტორო პროგრამის საფეხურს, უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას. მიზნების მიღწევა ხდება შესაბამისი მეთოდებით, სილაბუსებით განსაზღვრულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი, ხელმისაწვდომი რესურსებით, გამოყოფილი დროითა და სტუდენტთა რაოდენობით შესაძლებელია დასახული მიზნების მიღწევა. სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს კურსის მიზანს, მისაღწევ შედეგებს და მიზნების მიღწევის მეთოდიკას - ვერბალური, ზეპირსიტყვიერი მეთოდის გარდა, ხშირად, გამოიყენება დისკუსია-დებატების მეთოდი, რაც ამაღლებს დოქტორანტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას, მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარ-ჩვევების დახვეწის მიზნით. რამდენადაც, სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დოქტორანტის აკადემიურ სფეროში სამომავლო მოღვაწეობისათვის მომზადება, მნიშვნელოვანია, რომ შეთავაზებული კურსები ორიენტირებული იყოს პედაგოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მეთოდად, სასწავლო კომპონენტების კურსების სილაბუსების ანალიზის საფუძველზე, აღსანიშნავია ახსნა-განმარტებითი მეთოდი, რომელიც შეთავაზებული კურსების ფარგლებში გამოიყენება და ეხმარება დოქტორანტს კონკრეტული საკითხის ირგვლივ კონსტურქციული მსჯელობის ჩამოყალიბებაში. სასწავლო კურსების შესასწავლად გამოყენებულია წერითი მუშაობის მეთოდი, რაც დოქტორანტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებას ახდენს. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური მუშაობის დრო, რომელიც გაწერილია სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კურსების სილაბუსების მიხედვით და მიესადაგება პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილ გონივრულ ვადებს. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს და შეისწავლოს სამართლებრივი კვლევის სპეციფიკა და საჭირო თანამედროვე მეთოდები, რომლებიც დისერტაციის შესრულებაში მას დაეხმარება. შეთავაზებული სასწავლო კურსის სწავლების მეთოდი უზრუნველყოფს დოქტორანტთა ჩართულობასა და ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას. განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი სათანადო ყურადღებას უთმობს სამეცნიერო კვლევის მეთოდების გაძლიერებულ სწავლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა; • სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ფორმა; • სილაბუსები; • კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და ანალიზი;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამსახურის დებულება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების დასანერგად, უფრო მეტი სიხშირით ჩატარდეს აკადემიური პერსონალისთვის გადამზადების კურსები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა შეფასება მრავალკომპონენტიანია და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის აქტიურობა ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების სისტემით. ცოდნის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით - სასწავლო კომპონენტის შესწავლისას, სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საერთო შეფასება ითვალისწინებს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში. შუალედური შეფასება იყოფა კომპონენტებად (მუშაობა ლექციებზე და სამუშაო ჯგუფებში, შუალედური გამოცდები, წინასწარ შერჩეული თემის მომზადება და მისი პრეზენტაცია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, რეფერატის მომზადება და დაცვა და ა.შ.), რომელთაც თავისი პროცენტული წილი აქვთ შუალედური შეფასების ფარგლებში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა - სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას, ან მხოლოდ შუალედური გამოცდის/გამოცდების შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში. ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება. თითოეულ სასწავლო კომპონენტში შუალედური გამოცდა სემესტრში შესაძლებელია ჩატარდეს რამდენიმეჯერ (სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე) და თითოეული ფასდება 20/30 ქულით. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების

დაზუსტება. კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი. შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა. ამ ფორმით, შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა; თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით: (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).

საგანმანათლებლო პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშის, მათ შორის, ინტერვიუს შედეგების ანალიზის შედეგად აღსანიშნავია, რომ კვლევით კომპონენტის სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის მიერ შესრულებული დისერტაცია, ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით. საგანმანათლებლო პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშის, მათ შორის, ინტერვიუს ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი შესაფასებლად გადაეცემა დოქტორანტის ხელმძღვანელს, რომელიც დასაბუთებული, არგუმენტირებული, წერილობითი დასკვნით, დადებითად ან უარყოფითად აფასებს დოქტორანტის მიერ შესრულებულ

სამუშაოს. აღნიშნული დასკვნით ხელმძღვანელი დოქტორანტს უფლებას აძლევს გააგრძელოს კვლევითი კომპონენტის შემდგომ ეტაპზე მუშაობა ან თავიდან დაამუშავოს ეს კვლევითი კომპონენტი. ხელმძღვანელის მიერ კომპონენტის დადებითად შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და დიზაინის პრეზენტაცია გააკეთოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ დაკომპლექტებული კომისიის წინაშე, რომელიც ასევე გამოთქვამს მოსაზრებას დოქტორანტის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. აღნიშნული აისახება ოქმში, რომელშიც დაფიქსირდება კომისიის დადებითი ან უარყოფითი მოსაზრება დოქტორანტის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. ეს პროცესი უზრუნველყოფს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მუდმივ ინფორმირებას კონკრეტული დოქტორანტის მიერ შესასრულებელ კვლევით კომპონენტზე. კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია თავიდან გადაამუშავოს კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი კომისია დოქტორანტის მიერ შესრულებულ კვლევითი ნაშრომის დაგეგმვას და დიზაინს აფასებს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი დასკვნით და არა ქულებით. შესაბამისად, დოქტორანტს ჩატარებულ სამუშაოში კრედიტი არ მიენიჭება. მისასალმებელია, საგანმანათლებლო პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშის, მათ შორის, ინტერვიუს ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტი სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე გადის შესაბამის ეტაპებს დისერტაციის წარმატებით დაცვის უზრუნველსაყოფად. კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებულ 3 კოლოკვიუმს, დოქტორანტი ამზადებს III-V სემესტრებში. პირველ დასკვნას დოქტორანტის მიერ შესრულებულ კოლოკვიუმებზე წერს სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელი. დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ამის შემდეგ, კოლოკვიუმები სარეცენზიოდ გადაეგზავნება შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს. რეცენზენტის დასკვნაც შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. რეცენზენტის მიერ დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია გააკეთოს კოლოკვიუმის პრეზენტაცია. კოლოკვიუმის პრეზენტაციის მიზნით, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით ქმნის სპეციალურ კომისიას, რომელშიც უნდა შედიოდეს მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი. კომისიის მუშაობას ესწრება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელიც. კომისია დოქტორანტის მიერ გაკეთებულ პრეზენტაციაზე წერს დადებით ან უარყოფით დასკვნას და არგუმენტირებულად დაასაბუთებს რეკომენდაციას, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის გაგრძელებასთან ან კოლოკვიუმების ხელახლა გადამუშავებასთან დაკავშირებით. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რეცენზენტი და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი კომისია დოქტორანტის მიერ

შესრულებულ კოლოკვიუმეს აფასებს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი დასკვნით. მისასალმებელია, რომ ამ ეტაპების შესრულებას სათანადოდ ამოწმებს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. აღნიშნული გამოიკვეთა, მათ შორის, ინტერვიუს შედეგად. სადოქტორო პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშის, მათ შორის, ინტერვიუს ანალიზის შედეგად, აღსანიშნავია, რომ დასრულებული დისერტაციის შესაფასებლად, სადისერტაციო საბჭო ნიშნავს ორ ექსპერტს, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში გამოქვეყნებული აქვს შრომები. ორივე ექსპერტის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, დაინიშნება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა. წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის შემდეგ, სადისერტაციო ნაშრომი შესაფასებლად გადაეცემა ორ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე შემფასებლებს (რეცენზენტებს), რომლებსაც სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში გამოქვეყნებული აქვს შრომები. ორივე რეცენზენტის მიერ, სადისერტაციო ნაშრომის დადებითად შეფასების შემთხვევაში, დაინიშნება სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, რომელიც წარიმართება სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე, საჯაროდ. სადისერტაციო კოლეგიის თითოეული წევრი, ასევე შემფასებლები (რეცენზენტები) დაცვაზე სადისერტაციო ნაშრომს აფასებენ 100 ქულიანი სისტემით. შემფასებელთა (რეცენზენტთა) და სადისერტაციო კოლეგიის წევრთა შეფასების საფუძველზე განისაზღვრება საბოლოო ქულა - საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი შემფასებელთა (რეცენზენტთა) და კოლეგიის წევრთა რაოდენობაზე). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 5 იანვრის N3 ბრძანებით განსაზღვრული, 51-დან 100 ქულის ჩათვლით, ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად, მას, ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით მიენიჭება კვლევითი კომპონენტისთვის განკუთვნილი 120 ECTS კრედიტი და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა; • შეფასების სისტემა; • შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; • სილაბუსები; • ელექტრონული პორტალი; • თვითშეფასების ანგარიში;

- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სადოქტორო პროგრამის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაცია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდებულ და უნივერსიტეტის მიერ ამ მიზნით აღიარებულ საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტი თავისუფლდება სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ვალდებულებისაგან, თუ მას სადოქტორო თემასთან დაკავშირებით გამოცემული აქვს შესაბამისი მონოგრაფია. სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის, ინტერნაციონალიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ სტატიების საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების ვალდებულება დარჩეს უცვლელი ან ჩაანაცვლოს სხვა ინტერნაციონალიზაციის ელემენტმა.
სასურველია, სტუდენტების შეფასების სისტემაში უფრო მეტად გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული ელემენტების შეფასება (მაგალითად, სასწავლო კურსი უფრო მეტად ითავლისწინებდეს უცხო ენაზე შესასრულებელ კომპონენტებს), სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების პროპორციულად, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი სასწავლო პროცესის განმავლობაში აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალისაგან იღებს სათანადო და დროულ კონსულტაციას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სამეცნიერო პოტენციალის პროგრესის

მიზნით. აღნიშნული კონსულტაცია ხორციელდება ელექტრონული გამოკითხვების წარმოების ფორმით. მოწოდებული შეფასების ფორმა ითვალისწინებს კონკრეტული პრობლემის არსებობის შემთხვევაში ამგვარი ინფორმაციის სრულად და ანონიმურად მიწოდებას. ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება სტუდენტის ინდივიდუალური, ელექტრონული პორტალის ფარგლებში, უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, სოციალური ქსელის გზით. არსებული დგინდება როგორც ჩატარებული ინტერვიუებით, ასევე გარე ექსპერტის შეფასებით. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელიც. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სტუდენტებს გარდა შეხვედრებისა, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან აქტიური კომუნიკაცია აქვთ ელექტორნული მიმოწერის გზით. ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელებს არ აქვთ დროის დეფიციტი, სტუდნეტებთან შეხვედრები აქვთ როგორც უნივერსიტეტში, ისევე სხვა დაწესებულებებში. სასწავლო კურსების სილაბუსში მითითებულია საკონსულტაციო საათი, დღე და დრო, რომლის ფარგლებში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს კომუნიკაცია კურსის ხელმძღვანელთან. აღსანიშნავია, რომ სტუდენტს აქვს წინასწარი წვდომა გასავლელ სასწავლო კურსებსა და მათ სილაბუსებზე. იმართება ადმინისტრაციის პერიოდული შეხვედრები დოქტორანტებთან, რომლის ფარგლებში განიხილება მიმდინარე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. მაგალითად: სტუდენტთა ინტერვიუს ფარგლებში დასახელდა პრობლემა, კერძოდ, გასულ სემესტრში სხვადასხვა საგნის ფინალური გამოცდის შემჭიდროვებულ და ურთიერთმფარავ ვადებთან მიმართებით, რომელზეც ადმინისტრაციამ აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებით მყისიერი რეაგირება მოახდინა და ხელახლა განსაზღვრა საგამოცდო ვადები გონივრული ინტერვალით.

სამეცნიერო თუ აკადემიური პოტენციალის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტს აქვს წვდომა შესაბამის სამენციერო-კვლევით ღონისძიებების შესახებ ინფორმაციაზე. ინფორმირება ხორციელდება, როგორც ადმინისტრაციის, ისევე აკადემიური პერსონალის - სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების მიერ. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომამადგენელმა წარმოადგინა მცირე თუ დიდი გრანტების დებულებები, მონაწილეობის დაფინანსება ახალგარზრდა მეცნიერებისთვის და საგრანტო პროექტის „თამარი“ დებულება. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს ინფორმაციას, მართავს უნივერსიტეეტის ვებგვერდს და სამენციერო პორტალს. პერიოდულად ტარდება დასაქმების ფორუმები, რომლებსაც ორგანიზებას უწევს და ხელმძღვანელობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ კვლევების განვითარების მიმართულებით კანცლერის მრჩევლად დაინიშნა ცალკე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სადოქტორო პროგრამების თემატურ გადახედვასა და გამოყენებითობის შეფასებას, ასევე, აორგანიზებს სტუდენტთა

შეხვედრებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზაზე არსებულ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ პერიოდულობით ხდება მათ მიერ განხორციელებული აქტივობის ანგარიშგება და შესრულებული სამუშაოს შესახებ ადმინისტრაციის ინფორმირება ყოველი სემესტრის ბოლოს. სტუდენტები აფასებენ სასწავლო კურსს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტივობას ყოველი სემესტრის ბოლოს. ანგარიშის შინაარსობრივი სტრუქტურა იძლევა განხორციელებული აქტივობის რეალურად შემოწმების შესაძლებლობას. სტუდენტებთან ინტერვიუს ფარგლებში გამოირკვა, რომ სასწავლო პროგრამასა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვასთან მიმართებით განხორციელებულ ცვლილებაზე მათი ინფორმირება ხდება ოპერატიულად, ინდივიდუალური პორტალისა და უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. დამსაქმებლებთან შეხვედრის ფარგლებში დადგინდა, რომ კურსდამთავრებულის თუ ამჟამად სტუდენტის სტატუსის მქონე დოქტორანტთა დასაქმება წარმატებით განხორციელდა - მათ მიერ შესრულებულ საქმიანობას პერიოდულად აფასებს დამსაქმებლის შესაბამისი სამსახური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დასაქმების ბაზრის კვლევა; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; • კარიერული განვითარების სამსახურის დებულება; • საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დებულება; • საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება; • სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის დებულება; • უწყვეტი განათლების სამსახურის დებულება; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტი; • სილაბუსები; • სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული შეფასება; • სამართლის სადოქტორო პროგრამის გარე ექსპერტის 2018 წლის 16 ივლისის შეფასება; • სადოქტორო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • ვებგვერდი; • ინტერვიუს შედეგები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ შესაბამისი კვალიფიკავიის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელი, საჭიროებისამებრ, თანახელმძღვანელი. ამას უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალად დანიშვნის საფაკულტეტო პოლიტიკა, მეორე მხრივ - ხარისხის სამსახურის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმები. მოწმდება ლიტერატურა და სილაბუსები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ წარმოებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სავალდებულოა პარტნიორი უნივერსიტეტების, უცხოელი ექსპერტებისა და დოქტორანტების მონაწილეობა. დოქტორანტს აქვს თანახელმძღვანელის მოწვევის

შესაძლებლობაც, რაც შედეგობრივად დადებითად აისახება სტუდენტის აკადემიური თუ სამეცნიერო პოტენციალის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვებაზე, საერთაშორისო კონტაქტების დამყარებაზე, სამეცნიერო-კვლევით უნარ-ჩვევების დახვეწაზე. ფაკულტეტის ადმინისტრაცია, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი მუშაობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. მიმდინარეობს მოლაპარაკება უცხოელ პროფესორებთან დოქტორანტებისათვის თანახელმძღვანელის დანიშვნის თაობაზე. დადებითად უნდა შეფასდეს ადგილობრივი უნივერსიტეტებიდან მობილობის წესით გადმოსული სტუდენტების მიერ ხელმძღვანელის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა. ამასთანავე, ხარისხის სამსახურმა შეისწავლა დოქტორანტთა, ძირითად სამეცნიერო ხელმძღვანელთა და თანახელმძღვანელთა ბოლოდროინდელი სამეცნიერო აქტივობები, მათი წვლილი სამეცნიერო სფეროში. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილება აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებს. გარდა ამისა, ადმინისტრაციის მხრიდან, კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სამეცნიერო სამსახურის თანამშრომლობით, აქტიურად ხორციელდება მათი სამეცნიერო პროდუქტიულობისა და მათ მიერ გაწეული კონსულტაციის შეფასება. ინტერნაციონალიზაციის სეგმენტის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტი სთავაზობს პერსონალს გადამზადების კურსებს. ხარისხის სამსახურთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ უნივერსიტეტი მუშაობს აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლებაზე. თუ სტუდენტის ძირითადი სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადოდ არ ფლობს ინგლისურ ენას, მისასალმებელია, დოქტორანტს ენიშნება თანახელმძღვანელი, რომელიც აკმაყოფილებს ენისა და აკადემიური კომპეტენციის შესაბამის დონეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური პერსონალის რანგირების წესი; • სამართლის ფაკულტეტზე 2018 წელს ჩატარებული ტრენინგები; • პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება; • დეკანის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება; • სამეცნიერო ხელმძღვანელთა და თანახელმძღვანელთა ბიოგრაფიული რეზიუმე; • ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის, ინტერნაციონალიზაციის პროცესის უფრო მეტად უზრუნველყოფისთვის, სასურველია, ადმინისტრაციამ გააძლიეროს სამეცნიერო ხელმძღვანელთა ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის პროცესი. სასურველია, დოქტორანტთა ხელმძღვანელობისთვის, საჭიროებისამებრ, უფრო მეტი ინტენსივობით, მათ შორის, აკადემიურ პერსონალთან ერთად, დამატებით, განისაზღვროს კონკრეტული კომპეტენციის მქონე მოწვეული სპეციალისტები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსები უზრუნველყოფს სამართლის სადოქტრო პროგრამის სტაბილურ ფუნქციონირებასა და განსაზღვრული მიზნების მიღწევას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი (ორი პროფესორი და თერთმეტი ასოცირებული პროფესორი) და მოწვეული ლექტორები (ერთი მოწვეული ლექტორი და ოცდაერთი დოქტორანტის ხელმძღვანელი / თანახელმძღვანელი პროფესორი), რომლებიც, მათ შორის, პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ. აკადემიურ თანამდებობებს იკავებენ სათანადო სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო - პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები, ხოლო მოწვეული ლექტორების თანამდებობებს, მათ შორის, დიდი

პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები. ეს თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა. პროგრამის პერსონალს აქვს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისი კვალიფიკაცია, კონკრეტული სალექციო კურსების წაკითხვისა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობის გამოცდილება. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაბამისი კომპეტენციები დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებითა და პრაქტიკული საქმიანობით, თუმცა, სასურველია, პროგრამაში ჩართული პერსონალი, პრაქტიკული საქმიანობის გარდა, უფრო მეტი სიხშირით ახორციელებდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას (მაგალითად, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების მიმართულებით). მისასალმებელია, რომ პერსონალის კვალიფიკაცია - ჩატარებული ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი - მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რაც დადასტურდა, მათ შორის, ინტერვიუს შედეგებით. აღსანიშნავია, პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვნენ დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას, აგრეთვე, მათი მართვის პოლიტიკა, რაც, მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა. კერძოდ, პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, არა მხოლოდ თეორიული, არამედ, განსაკუთრებით, პრაქტიკული დანიშნულების პროდუქტის (სადოქტორო დისერტაციის) შექმნა. პროგრამის ხელმძღვანელები უშუალოდ მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. მისასალმებელია, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გარდა, საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, დოქტორანტის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, სახელმწიფო თუ კერძო სექტორიდან სპეციალისტების მოწვევას, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, სამეცნიერო ხარისხი, პრაქტიკული გამოცდილება, სპეციალური მომზადება, შრომები კონკრეტული მიმართულებით და, მათ შორის, საჭიროებისამებრ, დოქტორანტთა ხელმძღვანელობის გამოცდილება. მისასალმებელია, მათ შორის, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მაქსიმალურად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვასა და, ასევე, რაც სადოქტორო პროგრამისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ძირითადი ფუნქციების გარდა, მათ შორის, დოქტორანტებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ჩართული არიან კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესებში. დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის პერსონალი, საჭიროებისამებრ, ეხმარება მათ სემესტრის დაგეგმვაში, ტექნიკურ დახმარებას უწევენ სტუდენტებს აკადემიური რეგისტრაციის პროცესში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები; • სამუშაო აღწერილობები; • აკადემიური პერსონალის რანგირების წესი; • სადოქტორო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი უფრო მეტი სიხშირით ახორციელებდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ამ მხრივ, სასურველია, პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ/წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, რადგან პროფესორი ხელმძღვანელობს დოქტორანტის კვლევას, ან არის რეცენზენტი და აფასებს სადოქტორო ნაშრომს. ამ მხრივ, სასურველია, შეიქმნას უფრო მეტად მოქნილი ე.წ. კვლევითი სემესტრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს მხოლოდ კვლევითი საქმიანობით. ეს უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის

შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები. უნივერსიტეტში იმართება ლექტორთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმცხადებლებს - მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეთა შერჩევა ხდება კონკრეტული კრიტერიუმების შემოწმებით და არა მარტივი თანხმობით. მონაწილე პირთა კვალიფიკაცია და განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა მოწმდება. უნივერსიტეტი ცდილობს წაახალისოს მათი პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები, კონფერენციებში მონაწილეობა, ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, პლაგიატთან დაკავშირებით. მათ შორის, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ აკადემიურ ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა, ასევე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, დაინტერესების შემთხვევაში, ლექტორების მონაწილეობას სამეცნიერო და აკადემიურ ღონისძიებებში. მათ შორის, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული

პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება: კონფერენცია, სემინარი, საჯარო ლექცია, ტრენინგი, რომლებიც ემსახურება პროფესიული ან/და სწავლების უნარის განვითარებას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეხვედრის ფარგლებში დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესისთვის შემუშავდა სამეცნიერო აქტივობისა და პროდუქტიულობის კვლევა, რომლებსაც აქვთ მაღალი სამენციერო აქტივობა, სარგოზე დანამატი ეძლევათ. ინტერნაციონალიზაციის სეგმენტის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტი სთავაზობს პერსონალს გადამზადების კურსებს. ხარისხის სამსახურთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ უნივერსიტეტი მუშაობს აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლებაზე. თუ სტუდენტის ძირითადი სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადოდ არ ფლობს ინგლისურ ენას, მისასალმებელია, დოქტორანტს ენიშნება თანახელმძღვანელი, რომელიც აკმაყოფილებს ენისა და აკადემიური კომპეტენციის შესაბამის დონეს. მისასალმებელია, უნივერისტეტის მიერ კვლევითი აქტივობების დაფინანსების სისტემის დანერგვა, რომლითაც წაახალისებს პერსონალს, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით აქტივობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, მათ შორის, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის როგორც სასწავლო, ასევე კველვითი საქმიანობის შეფასებას, რისთვისაც ახდენს ლექციებზე დასწრებას, აფასებს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს და სასწავლო და კვლევითი პროცესის მიმდინარეობას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისათვის წინასწარ დადგენილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. სადოქტორო პროგრამას აქვს სამომავლო ხედვა პროგრამის, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით. მათ შორის, უნივერსიტეტის რექტორთან, კანცლერთან, კანცლერის მოადგილესთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტია მიიზიდოს მაღალი ხარისხის უცხოელი პროფესორების მოწვევა, პერსონალის შიდა კვლევითი გრანტების გაზრდა, მათ შორის, საზღვარგარეთ მივლინება და გარე გრანტებში მონაწილეობის მხარდაჭერა. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე, კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა ანაზღაურებადია. აღნიშნული დასტურდება, მათ შორის, პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი დატვირთების ანაზღაურების სქემითა და ინტერვიუების შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები;
- სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი უფრო მეტად ახორციელებდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. სასურველია, პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ/წამახალისებელ ღონისძიებებს, როგორებიცაა ხშირი შიდა კვლევითი გრანტების სისტემა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მხარდასაჭერად, რადგან პროფესორი ხელმძღვანელობს დოქტორანტის კვლევას, ან არის რეცენზენტი და აფასებს სადოქტორო ნაშრომს. ამ მხრივ, სასურველია, შეიქმნას უფრო მეტად მოქნილი ე.წ. კვლევითი სემესტრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს მხოლოდ კვლევითი საქმიანობით. ეს უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას.
სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში

განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. კერძოდ, უნივერსიტეტს გააჩნია სადოქტორო პროგრამისათვის აუცილებელი მნიშვნელოვანი კომპონტენტები: ინფრასტრუქტურა - კვლევის წარმოებისათვის აუცილებელი სივრცე; თანამედროვე ინტერნეტ და მატერიალურ სამართლებრივ გამოცემებზე ხელმისაწვდომობა, რაც, თავის მხრივ, მოიცავს სათანადო ბიბლიოთეკის არსებობას. სასწავლო სივრცე, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. ღია საბიბლიოთეკო სივრცეში წიგნები მოცემულია თემატურად. კვლევის წარმოებას ამარტივებს ის ფაქტიც, რომ ელექტრონულ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობა სტუდენტებს აქვთ არა მხოლოდ უნივერსიტეტის შენობაში არსებული კომპიუტერებიდან, არამედ ნებისმიერი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით უნივერსიტეტის შენობის ფარგლებს გარეთ. პროგრამა ასევე უზრუნველყოფილია სპეციალური პლაგიატის სისტემით, რაც აუცილებელი კომპონენტია სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და მისი მიზნების მიღწევისათვის. მათ შორის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ, ახლო პერიოდში, უნივერსიტეტში იგეგმება იურიდიული კლინიკის გახსნა, რომელშიც ჩაერთვებიან სადოქტორო პროგრამის სტუდენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვებგვერდი;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური

მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია. პროგრამის ბიუჯეტი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნაწილია. არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისათვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტი აფინანსებს პროფესორ-მასწავლებლებს, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების გასავლელად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად და შრომების გამოსაქვეყნებლად. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის რანგირების წესი, რომელიც, მათ შორის, განსაზღვრავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების რეგულაციებს. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ უნივერსტიტეტის ადმინისტრაცია მხარს უჭერს სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს. ფაკულტეტი (პროგრამის ხელმძღვანელი), საჭიროებისამებრ, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, შედგენილ ბიუჯეტს წარუდგენს უნივერსიტეტის ცენტრალურ ადმინისტრაციას განსახილველად. მათ შორის, უნივერსიტეტის რექტორთან, კანცლერთან და კანცლერის მოადგილესთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ისინი ფინანსურად ხელს უწყობენ დასახული მიზნების რეალიზაციას. მისასალმებელია, მოგების რეინვესტიცია ხორციელდება დამფუძნებლების მიერ, მთლიანი მოგების 7-8% უნდა მოხმარდეს სამეცნიერო კვლევების გავითარებას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად უკვე გადაიდა რამდენიმე ნაბიჯი. უნივერსიტეტის ბიუჯეტი მართვადია. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს აქვთ პროგრამის ინტერნაიონალიზაციის კონკრეტული ხედვა. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად დაგინდა, რომ მიმდინარეობს აფილირებული პროფესორების საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის დაფინანსება, უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანა. პროგრამის ხელმძღვანელმა და თანახელმძღვანელმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტებისა და აფილირებული პროფესორების ფინანსურ მხარდაჭერას. ადმინისტრაციამ წარმოადგინა მცირე სამეცნიერო გრანტების ფინანსური მხარდაჭერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების	✓			

რესურსებით უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის განხორციელებას. ხარისხის შეფასების სისტემა გამართულია - არსებული რესურსები სათანადოდ გამოიყენება. პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომელიც იყენებს შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. სამსახური ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობას პროგრამასთან და სასწავლო კურსებთან. საჭიროებისამებრ, უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეძლევა რეკომენდაცია უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და კონკრეტული დარგობრივი სტანდარტების გასათვალისწინებლად. მისასალმებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კრედიტების რაოდენობის გამოთვლის კონტროლის წესი. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროგრამების შემუშავებამდე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს პერსონალის გამოკითხვას იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება სასწავლო კურსებისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა მის შესასწავლად რეალურად საჭირო დროს და სტუდენტთა რეალურ დატვირთვას. ამ მიზნით, ლექტორებს ევალებათ გათვალონ სასწავლო კურსით დადგენილი ყოველი თემის საათობრივი დატვირთვა, სტუდენტისათვის საჭირო დროის მიხედვით. აღნიშნული, განსაკუთრებით, დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით. აღსანიშნავია, პერსონალს ეძლევა რეკომენდაცია უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ დოკუმენტებთან დაკავშირებით, რაც დადასტურდა ინტერვიუს შედეგად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სადოქტორო პროგრამას, საუნივერსიტეტო

და ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, განსახილველად და დასამტკიცებლად გადასცემს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. დამტკიცების შემდეგ, მოდიფიცირების მიზნით, ფასდება სადოქტორო პროგრამა. პროგრამების სრულყოფისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმები, ხდება შედეგების გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება. სწავლის პერიოდში ხდება სწავლების ხარისხის შიდა შეფასება. უნივერსიტეტი მუშაობს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს კონსულტაციების გაწევას აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფაკულტეტის დებულება; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტიანობის მართვა“; • თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; • სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში

განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სამართლის სადოქტორო პროგრამას 2014 წლიდან ახორციელებს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N150; 09.07.2014). უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამა გადაამუშავა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით განსაზღვრული რეკომენდაციებზე დაყრდნობით. 5 ECTS კრედიტიანი სასწავლო კურსი აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები გაიყო ორ სასწავლო კურსად: აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის – 5 ECTS კრედიტი და სამართლებრივი კვლევის მეთოდები – 10 ECTS კრედიტი. სასწავლო კომპონენტის არჩევით ელემენტებს დაემატა სასწავლო კურსი მეცნიერების მენეჯმენტი. განსაკუთრებით, აღსანიშნავია, შეიცვალა კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, კერძოდ, კვლევით კომპონენტის სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია, ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით. უნივერსიტეტი მუშაობს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. აქტიურად მიმდინარეობს მემორანდუმების გაფორმება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, ჩატარდა და იგეგმება უცხოელი მეცნიერებისა და მკვლევარების ჩართულობით სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციები. ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ წარმოებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში

სავალდებულოა პარტნიორი უნივერსიტეტების, უცხოელი ექსპერტებისა და დოქტორანტების მონაწილეობა. დოქტორანტს აქვს თანახელმძღვანელის მოწვევის შესაძლებლობაც. ფაკულტეტის ადმინისტრაცია, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი მუშაობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. მიმდინარეობს მოლაპარაკება უცხოელ პროფესორებთან დოქტორანტებისათვის თანახელმძღვანელის დანიშვნის თაობაზე. ინტერნაციონალიზაციის სეგმენტის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი სთავაზობს პერსონალს გადამზადების კურსებს. სადოქტორო პროგრამა შეფასდა გარე ექსპერტის მიერ. უნივერსიტეტი ითვალისწინებს განსაზღვრულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რამდენიმე შენიშვნის სრულად გათვალისწინების ფაქტი ანტიპლაგიატის მექანიზმთან, საგრანტო კონკურსებთან, იურიდიული თემატიკის ელექტრონულ ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფის, დოქტორანტებისთვის სპეციალური სივრცისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გაიზარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გარე ხარისხის შეფასების შედეგები; • გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები; • აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N150; 09.07.2014; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, დაცულ სადოქტორო ნაშრომების რაოდენობის, კურსდამთავრებულების ზრდასთან ერთად (ვინაიდან, ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთი კურსდამთავრებულია), მეტი სიხშირით გაგრძელდეს, მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, პროგრამის შედეგების შეფასება და მათი გამოყენება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულია, რაც გამოვლინდა თვითშეფასების ანგარიშისა და, განსაკუთრებით, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად. იგი ხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომელიც იყენებს შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. სამსახური ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობას პროგრამასთან და სასწავლო კურსებთან. პროგრამის მონიტორინგის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სპეციალურად შედგენილი კითხვარების მეშვეობით ახდენს, ამუშავებს და აანალიზებს მიღებულ მონაცემებს. პროგრამის ხელმძღვანელი აფასებს პროგრამას, საჭიროებისამებრ, მოდიფიცირებულ ვერსიას წარუდგენს დეკანსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. განსაზღვრული პროცედურების გავლის შემდეგ, პროგრამასა და

სილაბუსებს ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სათანადო შეფასების პროცედურა. თუ შეფასებისას გამოიკვეთა კონკრეტული დარღვევა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან გათვალისწინებულია კონკრეტული რეაგირების მექანიზმები. საჭიროებისამებრ, უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეძლევა რეკომენდაცია უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და კონკრეტული დარგობრივი სტანდარტების გასათვალისწინებლად. მისასალმებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კრედიტების რაოდენობის გამოთვლის კონტროლის წესი. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროგრამების შემუშავებამდე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს პერსონალის გამოკითხვას იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება სასწავლო კურსებისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა მის შესასწავლად რეალურად საჭირო დროს და სტუდენტთა რეალურ დატვირთვას. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ პერიოდულად ტარდება სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა შესაბამისი კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ. შიდა შეფასების შედეგები ანალიზდება გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეებით. უნივერსიტეტი მუშაობს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს კონსულტაციების გაწევას აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტიანობის მართვა“; • თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; • სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგის მექანიზმები და ანალიზი; • გარე ხარისხის შეფასების შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სადოქტორო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, დაცულ სადოქტორო ნაშრომების რაოდენობის, კურსდამთავრებულების ზრდასთან ერთად (ვინაიდან, ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთი კურსდამთავრებულია) მეტი სიხშირით გაგრძელდეს, მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, პროგრამის მონიტორინგი, პერიოდული შეფასება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სამართლის სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 55

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

გიორგი დგებუაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო ბოგვერაძე

ნინო კილასონია

ანა თოხაძე